ვებგვერდი, 31/12/2013
სარეგისტრაციო კოდი
140030000.22.034.016260

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება №1010
2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

პოლიციელის ფიცის დამტკიცების თაობაზე

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს პოლიციელის ფიცი თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი *ალექსანდრე ჭიკაიძე*

დანართი

პოლიციელის ფიცი

მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურში, ვფიცავ:

- ვიყო ერთგული და ღირსეული, დავიცვა ჩემი სამშობლო საქართველო და ვემსახურო საზოგადოებას;
- დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, სამსახურებრივი და სამხედრო წესდებები, ბრძანებები;
- მტკიცედ დავიცვა სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოება;
- დავიცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, კანონიერების პრინციპები და თანაზომიერება, არ დავუშვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;
- ვიყო გამბედავი, დამნაშავეობასთან შეურიგებელი და დისციპლინებული თანამშრომელი;
- კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი;

- არ დავიშურო ძალა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

ხელმოწერა_____ _____